30 აპრილი, 2015

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო

აღწერის წინასწარი შედეგები

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბერის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა. აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

მოსახლეობის გამოთვლის მომენტს (კრიტიკული მომენტი) წარმოადგენდა 4-5 ნოემბრის შუაღამის 12 საათი. (ე. ი. მონაცემები არ შეგროვდა მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ).

თავის მხრივ, 5-19 ნოემბრის პერიოდის შერჩევა განპირობებული იყო, იმით, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა ნაკლებად მოძრავია, სკოლებში არდადეგები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული და უმრავლეს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობდა ლექცია-სემინარები. კრიტიკულ მომენტად შერჩეული იქნა კვირის შუა დღე - ოთხშაბათი, როცა მოსახლეობა ნაკლებად მოძრაობს კვირის სხვა დღეებთან შედარებით.

აღწერის დღეების რაოდენობაც (15 დღე) განისაზღვრა იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის გამოკითხვა უნდა მოესწროს მანამდე, სანამ მათ დაავიწყდებათ იმის შესახებ, თუ სად იყვნენ აღწერის კრიტიკულ მომენტში (ე.ი.4-5 ნოემბრის შუაღამის 12 საათზე).

იმის გამო, რომ ნოემბერში ზოგიერთ მთიან მუნიციპალიტეტში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო კავშირი გართულებული იქნებოდა, მესტიის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მთლიანად, ხოლო დუშეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 2014 წლის სექტემბრის თვეში.

წინასწარი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 729 635 კაცი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის (4 371 535 კაცი) შედეგთან შედარებით 14,7 პროცენტით (641 900 კაცი) ნაკლებია.

2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2 140 126 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ - 1 589 509 კაცი. შემცირება ძირითადად განიცადა სოფლის მოსახლეობამ (23,8 პროცენტი), როდესაც იმავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა შემცირდა (6,3 პროცენტით). შედეგად წინა აღწერის ქალაქ/სოფლის სტრუქტურაც მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.



კერძოდ, მთელი მოსახლეობის 57,4 პროცენტი შეადგენს ქალაქის მოსახლეობას, რაც წინა აღწერის შესაბამის მაჩვენებელზე 5,1 პროცენტული ერთეულით მეტია.



მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით, თბილისის მოსახლეობამ 1 118 035 კაცი შეადგინა, რაც წინა აღწერასთან შედარებით 3,4 პროცენტით მეტია (ეს მატება ძირითადად განპირობებულია მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სოფლის ტიპის დასახლებების ქ. თბილისთან შემოერთებით). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 5,2 პროცენტული ერთეულით გაიზარდა და 30,0 პროცენტი შეადგინა.

ზრდა შეინიშნება ასევე ქ. ბათუმის მოსახლეობაში (26,3 პროცენტი), მაგრამ მატება ქ. ბათუმშიც ძირითადად გამოწვეულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი დასახლებების შემოერთებით.

წინა აღწერასთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი მატება (7,3 პროცენტი) დაფიქსირდა ქ. რუსთავში და 124 908 კაცი შეადგინა (იმავე საზღვრებში რაც იყო 2002 წელს).

რეგიონულ ჭრილში ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება 2002 წლის აღწერასთან შედარებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (37,4 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია (29 პროცენტი), ხოლო ყველაზე ნაკლები - აჭარის ა.რ-ში (10,6 პროცენტი).

რეგიონი	2014	2002	% მატება 2002 წელთან შედარებით
სულ	3 729 635	4 371 535	-14,7
თბილისი	1 118 035	1 081 679	3,4
აფხაზეთის ა.რ.	...	1 956	...
აჭარის ა.რ.	336 077	376 016	-10,6
გურია	113 221	143 357	-21,0
იმერეთი	536 052	699 666	-23,4
კახეთი	319 144	407 182	-21,6
მცხეთა-მთიანეთი	94 370	125 443	-24,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31 927	50 969	-37,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	331 145	466 100	-29,0
სამცხე-ჯავახეთი	160 262	207 598	-22,8
ქვემო ქართლი	424 769	497 530	-14,6
შიდა ქართლი	264 633	314 039	-15,7

სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი შედეგები

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც და შეგროვდა მრავალფეროვანი მონაცემები სოფლის მეურნეობის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო აღწერამ მოიცვა ყველა ოჯახური მეურნეობა - შინამეურნეობა,

რომელსაც, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი.

წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ოჯახური მეურნეობების რაოდენობამ 640 302 ერთეული შეადგინა. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად დაფიქსირდა 728 247 ერთეული ოჯახური მეურნეობა. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ არ მოიცვა საქართველოს 5 დიდი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ოჯახური მეურნეობების პროცენტული განაწილება მეურნის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ოჯახური მეურნეობების განაწილება მეურნის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (%)



აღწერის საბოლოო შედეგები, პირველადი მონაცემების დამუშავების შემდეგ, 2016 წლის აპრილის თვეში გამოქვეყნდება.